პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 11 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

205 (903)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## ორი ამოცანა.

ბანაკობა დასრულდა. ნაწილები უბრუნდებიან ისევ წითელ ყაზარმებს. კიდევ რამოდენიმე დღე და წითელი ჯარიდან წავლენ 1924 წ. გაზაფხულზე გამოწვეული წითელი არმიელები. მათი წასვლის შემდეგ ჩვენს წითელ ჯარს მოევლინება ახალი ძალა—1903 წელში დაბადებული ახალგაზრდობის სახით.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით იმათ წინაშე, ვინც ჯარის რიგებში რჩება იჭრება ორი მთავარი ამოცანა—შევზულებაში მიმავალთ სათანადოთ გაცილება და ჯარში მომავალ ახალ წვეულებისათვის ჯეროვანი შეხვედრის მოწყობა.

რასაკვირველია პირველ ყოვლისა საჭიროა ძველების გაცილებაზე ზრუნვა. ამ მხრივ ჩვენმა ნაწილებმა უკვე დაიწყეს შესაფერი მზადება და ისინი ღირსეულად გაისტუმრებენ შვებულებს. მაგრამ ამავე დროს აქედანვე საჭიროა შეუდგეთ ახლების შეხვედრისათვის მზადებას. ამ მხრივ პირველ ყოვლისა სავსებით გამოყენებულ უნდა იქმნას წარსული წლების გამოცდილება.

ახალი გაწვევის მოსვლის მომენტისათვის უკვე ყველაფერი მზად უნდა იყოს, ყაზარმა სათანადოთ მოწყობილი და მორთული.

განსაკუთრებით ახალწვეულების შესახვედრად უნდა ემზადონ 1924 წელში შემოდგომაზე გაწვეულ წითელ-არმიელები, ესენი როგორც ძველი, გამოცდილი წითელ-არმიელები უნდა გახდენ ახლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები. მათ უნდა აუხსნან ახალ ამხანაგებს წითელი არმიის მიზანი, მისი მნიშვნელობა, გააცნონ წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა.

რასაკვირველია ყოველივე ეს მათ უნდა აწარმოონ ამხანაგური საუბრის საშვალებით. ახალწვეულები მოსვლისთანავე აუარება შეკითხვებს მისცემენ წითელი ჯარის შესახებ თავის ძველ ამხანაგებს.

ძველები კი მზად უნდა იყვნენ პასუხის გასაცემად.

ამრიგად ამ უახლოეს ხანში ორი დიდი ამოცანა უძევს წინ ჩვენ წითელ ჯარს.

ძველების გაცილება, ახლების შეხვედრა.

ეს ამოცანები ბრწყინვალეთ უნდა იქმნას შესრულებული.

## ინგლისის პროფკავშირების ყრილობა.

7 სექტემბერს გაიხსნა ინგლისის პროფესიონალურ კავშირების ყრილობა. ყრილობას დაესწრო 724 დელეგატი. ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ამერიკის, კანადის, საბჭოთა კავშირის და ამსტერდამის გაერთიანების წარმომადგენლები.

ამ უკანასკნელ წლეებში ინგლისის მუშათა მოძრაობა ძლიერ გამოცოცხლდა. დღითი დღე ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლა თავისი ინტერესებისათვის უფრო და უფრო მტკიცე და შეურიგებელ ხასიათს იღებს. ამის მიზეზია ის ეკონომიური კრიზისი, რომელიც უბაზრობის გამო მიედო მთელ ინგლისის მრეწველობას. ინგლისის კაპიტალისტები სცდილობენ კრიზისის მთელი სიმძიმის გადატანას მუშების ზურგზე.

ისინი ამოკლებენ მუშების რიცხვს ქარხნებსა და ფაბრიკებში, ამცირებენ სამუშაო ხელფასს და ადიდებენ სამუშაო დღეს. იზრდება უმუშევართა რიცხვი, უარესდება ისედაც უკიდურესი მატერიალური მდგომარეობა მუშებისა. გაჭირვებამ და შიმშილმა გამოფხიზლების გზაზე დააყენა ინგლისის პროლეტარული მასა. თანდათან ის რწმუნდება გადამჭრელი, შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობაში კაპიტალისტების წინააღმდეგ. რომ ინგლისის მუშები ამ დასკვნამდე მივიდენ ამის საუკეთესო მაგალითია მათი სიმტკიცე ამ უკანასკნელად მომხდარ უთანხმოების დროს მწარმოებლებთან სამთომადნო მრეწველობაში.

ცხადია მუშათა კლასის გამემარცხენებამ იქონია გავლენა მათ ხელმძღვანელებზედაც. ის მტაცებლური პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს კონსერვატიული მთავრობა უფრო უარეს მდგომარეობაში აყენებს მუშებს. ამიტომაც ინგლისის მუშები მოითხოვენ თავის ხელმძღვანელებისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას ჩემბერლენების მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ის აწარმოებს ჩინეთის და სხვა ქვეყნების მიმართ. განსაკუთრებით ინგლისის პროლეტარიატი ებრძვის ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ინგლისის მუშათა მოძრაობის წინაშე ბევრი დიდი მნიშვნელობის საკითხი იჭრება.

ინგლისის ბურჟუაზიას სრულიად არ გაუგდია ხელიდან განზრახვა მუშათა კლასის მეტი შევიწროებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებისა.

ამიტომაც ყველა ამ საკითხებს პასუხი უნდა გასცეს ამ ჟამად გახსნილ პროფკავშირების ყრილობამ.

პროფკავშირების ღენერალურ საბჭოს თავმჯდომარის — სუელსის სიტყვა, რომლითაც გაიხსნა ყრილობა, სრულ საბაბს გვაძლევს ვილაპარაკოთ, რომ ეს ყრილობა კარგ შედეგებს გამოიღებს.

სუელსის სიტყვაში ნათლად გატარებულია შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობის აზრი შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ.

„პროლეტარიატის ბრძოლამ მიაღწია თავის განვითარების ახალ და როგორც სჩანს უკანასკნელ საფეხურს...

„ყველა მუშების ვალდებულებას შეადგენს განამტკიცონ მოძრაობა და ემზადონ საბოლოო გამარჯვებისათვის“ ასე დაასრულა სუელსმა სიტყვა. მისი სიტყვა საუკეთესო ნიშანია იმისა, რომ მიმდინარე ყრილობა მთლიანად ჩატარდება შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ და ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლას წარმართავს სწორი გზით.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ომი მაროკოში.

აბ-დელ-ქერიმი უარყოფს.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტისადმი გაგზავნილ წერილში აბ-დელ-ქერიმი უარყოფს, რომ მას არ მიუღია საფრანგეთ-ესპანეთისაგან წინადადებანი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ამ ცრუ ცნობას, აბ-დელ-ქერიმის აზრით, მიზნათ აქვს საფრანგეთის და ესპანეთის ხალხების მოტყუება და დაჯერება იმაში, რომ ომის გაგრძელება აუცილებლობაა.

## ესპანელი ჯარები მაროკოში.

ოფიციალურათ იტყობინებიან რომ ესპანელებმა გადასხეს მაროკოში კიდევ ახალი დესანტი, რომელმაც ალხუსემასის ყურეში დაიკავა ხელსაყრელი პოზიციები და ხელთ იგდო დიდძალი ტყვეები.

## სიმართლის ეშინიათ.

ფრეიბერგერს მიუნხენში უკრძალეს გამოსვლა.

მიუნხენის პოლიციამ ნება არ დართო მოეწყოთ ლია კრება, სადაც მოხსენება უნდა გაეკეთებია მუშების წინაშე საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარეს ფრეიბერგერს. მიუნხენის პროფკავშირთა პლენარულ სხდომის წინ, რომლის დღის წესრიგში მთავარ პუნქტად ფრეიბერგერის მოხსენება იყო, სოციალ-დემოკრატიული გაზეთი გაშმაგებულ დევნას აწარმოებდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის მონაწილეთა წინააღმდეგ.

## საფრანგეთის პრესა სალაყბოს სესიის შესახებ.

ერთა ლიგის სესიის გახსნის გამო, საფრანგეთის რეაქციონური პრესა აღნიშნავს, ინტერესების იმ მეტოქეობას, რომელიც არსებობს თვით ლიგაში, რომელიც უნარ მოკლებულია გადასწყვიტოს ის საკითხები, რომლებიც ეხებიან ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, რადგან ამ შემთხვევაში საშიშია ერთა ლიგაც არ გატყდეს, როგორც „ჭიქა“.

კომუნისტურ პარტიის ორგანო „იუმანიტე“ აღნიშნავს ერთა ლიგის სრულ უსუსურობას მშვიდობიანობის განხორციელების საქმეში და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სიტყვა მშვიდობიანობის დამყარების შესახებ წარმოთქმული იქმნა სწორედ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ, რომლის იმპერიალისტურ პოლიტიკამ გამოიწვია ომი მაროკოში და სირიაში.

## ბოქსერთა აჯანყების 25 წლის თავზე.

მანიფესტაცია პოლიციის მიერ სროლით იქმნა დაშლილი.

ბოქსერთა აჯანყების 25 წლის თავზე (ბოქსერთა აჯანყება 1900 წელში მიმართული იყო ევროპიელების ბატონობის წინააღმდეგ ჩინეთში.

აჯანყება სისხლის მორევში იქნა ჩახჩობილი; ჩინეთს დაადვეს უზარმაზარი კონტრიბუცია, რომელსაც ისინი დღემდის იხდიან, მხოლოდ საბჭოთა კავშირმა სთქვა უარი ამ ვალების აღებაზე) კომპარტიის არალეგალურმა ცენტრალურმა ორგანომ „გაიდ უიკლიმ“ და პროფკავშირებმა გამოუშვეს განსაკუთრებული ფურცლები სპეციალურ თემებით. 8 სექტემბერს პროფკავშირებმა გამართენ დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 30.000 კაცი. უინციდენტოთ დემონსტრაციამ გაიარა ქალაქის ჩინური ნაწილი და საფრანგეთის კონცესიის ტერიტორია, რის შემდეგ მანიფესტანტება შეუხვიეს საერთაშორისო კვარტალში, მაგრამ აქ პოლიციამ და საზღვაო ქვეითა ჯარმა ისინი შეაჩერეს. მოხთა შეტაკება, რომლის დროს ინგლისელ პოლიციელებმა სროლა ასტეხეს. დაიჭრა რამოდენიმე მანიფესტანტი. დემონსტრაცია პოლიციამ გაფანტა.

## დამასკს ამაგრებენ

ოსმალეთის გაზეთების ცნობით დამასკს გაცხარებული ამაგრებენ, თავდასხმის მოლოდინში ინგლისის მომხრეებს და რაბებს აპატიმრებენ.

## ბალტიის სახელმწიფოთა შეთანხმების გარშემო.

ფინეთის უარყოფა.

სტოკჰოლმის გაზეთებმა დაბეჭდეს ცნობა, რომ ჟენევაში შემდგარ ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება და დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ყველა სახელმწიფოებმა.

ამის გამო ფინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოუშვა ცნობა, რომელშიაც ის უარყოფს შვეციის პრესის ცნობას და აღნიშნავს, რომ 6 სექტემბერს ჟენევაში შემდგარ კონფერენციაზე არავითარი ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული, პირიქით ფინეთმა იქ განაცხადა, რომ იგი მოითხოვს ბალტიის სახელმწიფოთა თანამშრომლობის ძველი ფორმის დატოვებას.

თუ შვეციის პრესის ცნობები, გულისხმობენ ბალტიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირს, რომელშიაც ფინეთის წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა, მაშინ ფინეთმა ამის შესახებ არაფერი არ იცის და არც გარეშე საქმეთა სამინისტროშია ამის შესახებ რაიმე ცნობები.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ 11 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება აღმასკომის პლენუმის საგანგებო სხდომა მეფის ჯალათების მიერ 1905 წ. 11 სექტემბერს (29 აგვისტოს ძველი სტილით) ყოფილ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დახოცილ მუშების ოცი წლის თავის აღსანიშნავათ.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1) მოხსენება 1905 წ. 11 სექტემბერს (ძველი სტილით 29 აგვისტო) მომხდარ სისხლიან ამბების შესახებ. მომხსენებელი ამხ. მ. კახიანი.
2) აღნიშულ ამბების მოწამეთა პირადი მოგონებანი.
3) ყოფილ ქალაქის თვითმართველობის დარბაზის, სადაც ეს ამბები მოხდა სახელის გადარქმევა,

საგანგებო სხდომაზე მოწვეულია აგრეთვე საბჭოს წევრები და ყველა ის პირი, ვინაც არიან ცოცხალი მოწამენი აღნიშნული შემთხვევისა. თხოვნა უკანასკნელთადმი: თავიანთი მოგონებანი წერილობითი ადრევე წარმოადგინონ პრეზიდიუმში.

პრეზიდიუმი.

## გერმანელ კომუნისტ მასლოვის საქმე.

ამხ. მასლოვის პროცესზე პროკურორმა თავის სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ სახელმწიფოსათვის საშიშია არა მარტო რომელიმე განსაზღვრულ მიზნის განხორციელება, არამედ გარკვეული მსოფლმხედველობაც. თავის სიტყვა პროკურორმა დაასრულა ბრალდებულისათვის 4 წლის ციხის მისჯის მოთხოვნილებით წინასწარ დატყვევების დროს ჩათვლით, 500 მარკით დაჯარიმებით და გერმანიიდან გაძევებით.

## პოლონეთის ბანკები გაკოტრების წინ.

პოლონეთის ბანკების უმეტესობა ფინანსიური კრიზისის გამო, ჩავარდენ უმწეო მდგომარეობაში, რადგან არ შეუძლიათ განავრძონ თავიანთი ოპერაციები, სავაჭრო სამრეწველო წრეებში გამეფებულია მღელვარება, რაიც გამოწვეულია მოსალოდნელი მსხვილი გაკოტრებით.

ეხლახან დამთავრდა ბანკების მოსამსახურეების გაფიცვა საფრანგეთში.



ამხ. დენიო.

ბანკის მოსამსახურე, რომელსაც ცემეს საუბნო პოლიციის ნაწილში.

## საკოპერაციო აგიტაცია წითელ ჯარში.

სოციალისტურ სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კოოპერაციის ზრდა და გამტკიცება. ქალაქის და სოფლის ნაწარმოების განაწილება, მშრომელისათვის კოოპერატიულ კრედიტის გახსნა—აი რა ევალება დღეს კოოპერაციას. მაგრამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროს, როდესაც ბაზარზე გამოდის კერძო კაპიტალი კოოპერაციის უმთავრესი ამოცანაა, ზემოაღნიშნულ დანიშნულებებთან ერთად, გახდეს ბაზრის ბატონ-პატრონი. მაგრამ როდის არის ეს შესაძლებელი? მაშინ, როდესაც მშრომელები მთლიან ფრონტს შექმნიან კოოპერაციის გარშემო, შეიგნებენ მის დიად დანიშნულებას თანამედროვე გარდამავალ პერიოდში და ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ მას. შესაძლებელია, ზოგიერთ ადგილას კოოპერატივი არ იდგეს თავის დანიშნულების სიმაღლეზე, არ აწვდიდეს თავის დროზე გლეხებს საჭირო საგნებს და მიწოდებული იქნეს ცუდი დარჩი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეჭვი გლეხების მხრივ კოოპერაციის სარგებლიანობაში, მაგრამ ყოველივე ეს დაბრკოლება შეიძლება გადალახული იქმნეს და ამით კოოპერაციის პრინციპი არ შეილახება. ამ გარემოებით შესაძლებელია ისარგებლონ კოოპერაციის და საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა და აგიტაცია გასწიონ კოოპერაციის წინააღმდეგ საერთოდ ამ აგიტაციას რომ მცირე გასავალიც არ დაურჩეს ჩვენ უნდა მოვსპოთ კოოპერატიული უცოდინარობა.

კეთდება კი რაიმე ამ მხრივ ჩვენს წითელ ჯარში?

არა, ან და ძლიერ მცირე. რა არის ამის მიზეზი? ორი გარემოება: 1) ჩვენს გაზეთ „წითელ-არმიელში“ ნაკლებად იწერება კოოპერაციის შესახებ და 2) სამეცადინო პროგრამაში კოოპერაციის შესახებ ძლიერ ზერელე ნათქვამია. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია ორგანიზაციების და ხელმძღვანელების ყურადღება მივაქციოთ ამ კითხვისადმი. ჩვენ უნდა შევქმნათ წ. ჯარში ისეთი მდგომარეობა, რომ შესაძლებელი შეიქნეს თვეში ერთხელ ან ორხელ გაიმართოს კოოპერაციაზე ლექციები. თუ ხელმძღვანელები მოინდომებენ შესაფერ ლექტორებსაც გამონახავენ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საქმეს უნდა წინასწარ დაფიქრება და გეგმიანი ხელმძღვანელობა.

ს. ლომიძე.

## ტერიტორიალური შეკრება.

**უფშემადგენლობის მეცადინეობა ცვალებადელებთან.**

ვინაიდან ცვალებადელებთან სამეცადინო დრო მეტად მცირეა, ამიტომ საჭიროა ყოველი დღე, საათი და წამი, რომელიც დათმობილ აქვს მეცადინეობას, გამოყენებულ იქნას პირდაპირი დანიშნულების მიხედვით. უბრალოდ დროს დაკარგვას არ უნდა ქონდეს ადგილი, თორემ მთელი სამეცადინო პროგრამის გავლას ვერ მოვასწრებთ. პროგრამის გაუვლელობა კი ნიშნავს—ამოცანების შეუსრულებლობას. ეს უნდა ახსოვდეს ტერნაწილების უფპოლიტშემადგენლობას და ისე უნდა დააყენონ მეცადინეობის საქმე, რომ ერთი წამიც უბრალოდ არ იკარგებოდეს.

იმისათვის, რომ მთლიანად შეასრულოთ ტერშეკრების პროგრამაში დასმული ამოცანები, საჭიროა უფპოლიტშემადგენლობამ წინასწარ შეიმუშაოს ყველა საკითხები.

ამ მიზნით ნაწილის უფროსის მიერ კვირაში ერთ-ორჯერ უნდა ტარდებოდეს უფპოლიტშემადგენლობასთან საინსტრუქტორო მეცადინეობა. ასეთი მეცადინეობის შემოღება საშუალებას იძლევა გამორკვეულ იქნას, თუ რამდენად ტარდება პროგრამა, ნაწილის შემდეგ სწავლებაზე გადასვლის შესაძლებლობა ან საჭიროა თუ არა გავლილის განმეორება, და აღინიშვნა იმ შეცდომებისა, რომელიც შემჩნეული იქნება მეთოდიურ სწავლების დროს. აქვე მიიღებს უფპოლიტშემადგენლობა მითითებებს, თუ როგორ უნდა აწარმოოს მომავალში მეცადინეობა.

საერთო საინსტრუქტორო მეცადინეობის გარდა, დღის პროგრამის შემუშავება უნდა ხდებოდეს ასეულებში (ხანდახან ათეულებშიც). ასეულის უფპოლიტშემადგენლობამ უნდა შეიმუშაოს: როგორ და რა უნდა ასწავლოს ხვალ? ხვალინდელ გაკვეთილების მიხედვით ის აგრეთვე ადგენს: რამდენ ჯგუფად უნდა გაიყოს ცვალებადელნი, რა და რა ხელსაწყო და სახელმძღვანელოება საჭირო მეცადინეობისათვის, რა და რა ხელსაწყოები, სამიზნო ფიცარი, იარაღები და სხვა უნდა იქონიონ ყოველი ჯგუფისათვის, რანაირი ადგილი უნდა აირჩიონ სამეცადინოთ, გათვალისწინებული უნდა იქნას, თუ რამდენი დრო დასჭირდება გადასასვლელად სასწავლო წერტიდან სამეცადინო ადგილამდე, როდის უნდა გავიდენ სამეცადინოთ, რომ უბრალოდ არ დაიკარგოს გადასვლის დროს მეცადინეობისთვის დათმობილი საათები, რანაირი წესით უნდა სწარმოებდეს სამეცადინო ადგილამდე მგზავრობა და უკან დაბრუნება. ყველა ეს საკითხები ასეულის და ოცეულის უფპოლიტშემადგენლობამ მეცადინეობის დაწყების წინ უნდა დაიმუშავოს, რომ სადი წარმოდგენა ქონდეს იმაზე, თუ რა უნდა აკეთოს მან ხვალ ამა თუ იმ მეცადინეობის დროს, რა შედეგების მიღება შეიძლება ამ მეცადინეობიდან და, დასარულ უფპოლიტშემადგენლობა უნდა შეეცადოს, რომ საქმე ისე რიგიანად დააყენოს, რომ მეცადინეობის დროს არც ერთი ცვალებადელი არ ცდებოდეს.

ამრიგად საქმის დაყენება შესაძლებლობას აძლევს უფპოლიტშემადგენლობას, რომ ცვალებადელებთან სამეცადინოთ დათმობილ საათების განმავლობაში შეასრულოს ყველა მასზე დაკისრებული ამოცანები. ამის გარდა შეუწყვეტელი და წესიერად დაყენებული მეცადინეობის საქმე დაარწმუნებს თვით უფპოლიტშემადგენლობას, რომ ისინი ასი პროცენტით შეასრულებენ ყველა ამოცანებს და მათი ავტორიტეტიც აიწევა ცვალებადელებთა თვალში, რაც გაამაგრებს დისციპლინას, რის უმისოთ არავითარ მუშაობის წარმატებით ჩატარება არ შეიძლება.

ი. ბარ.

## კომუნისტების დევნა ინგლისში.

ინგლისური გაზეთი „დეილი მეილ“ იტყობინება, რომ ლონდონის პოლიციის უფროსმა ცირკულიარი დაუგზავნა ლონდონის საუბნო პოლიციის უფროსებს, გააძლიერონ „თვალყურის“ დევნება იმათ მიმართ, ვინც შემჩნეულია კომუნისტობაში.

## სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება.

იმპერიალისტური მშვიდობიანობა ახლად გამოსული 1914—18 წ.წ. სისხლიან მორევიდან ხელმეორედ ემზადება ახალ საშინელ ომისათვის, რომელიც გაუგონარ საშინელებებით ემუქრება მსოფლიო მუშათა კლასს.

რისთვის სჩადის ამას იმპერიალიზმი? მას სურს ხელთ ჩაიგდოს რაც შეიძლება მეტი ნედლი მასალა, ახალშენები, ინდუსტრიალურად განვითარებული ოლქები და სისხლიდან დაცლილი მუშათა კლასი ხანგრძლივად დაიმორჩილოს.

ვერსალის „ზავმა“ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ვერ მოსპო წინააღმდეგობა, მან პირიქით, უფრო მეტი დავა და ყოყმანი გამოიწვია, რაც ცნობილია თვით ბურჟუაზიულ პარტიების ბელადების მიერ (ნიტი, კაიო და ლოიდ ჯორჯი).

უკანასკნელი წლეების მილიტარიზმის წარმომადგენელი ზრდა, საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველივე დარგის გასამხედროება, ბურჟუაზიულ ქვეყნებში სამხედრო ქიმიის, ტეხნიკის, ავიაციის და სხვა სომარ საშუალებათა სწრაფი განვითარება, მომასწავებელია საერთო კატასტროფის მოახლოვების, რომელსაც უმზადებს მსოფლიოს იმპერიალიზმი.

გადავხედოთ აგრეთვე თუ რა კეთდება იმ მხრივ, რომ ბურჟუაზია გამარჯვებული გამოვიდეს ამ ქარცეცხლიდან.

**რუმინეთში** დაარსებულია „სახელმწიფოს ნაციონალური თავდაცვის საბჭო“, რომელშიდაც შედიან მინისტრები და სარდლობა. საბჭოს მიზანია მოამზადოს სახელმწიფო მომავალ ომისათვის.

ამერიკა ითვალისწინებს რა, რომ მომავალ ომისათვის მზად უნდა ყავდეს ჯარი, ამისათვის ის ძლიერ უდგება ჯარის ხელმძღვანელების მომზადებას. დაარსებულია ოფიცერთა სკოლები, სადაც როგორც კადრის აგრეთვე სათადარიგო ოფიცრობა ღებულობს უმაღლეს სამხედრო განათლებას, დაარსებულია აგრეთვე უნცროს მეთაურთა სკოლები, სადაც ღებულობენ მსურველებს და ამზადებენ მათგან სამუდამოდ, გაწვრთნილ მხედრებს.

**ინგლისს** ყავს როგორც რეგულიალური აგრეთვე ტერიტორიალური და კუნძულების ჯარები, დაარსებულია აგრეთვე ოფიცერთა უმაღლესი სკოლები, სადაც ასწავლიან კადრის და სათადარიგო ოფიცრობას სამხედრო ხელოვნებაში ახალ მიღწევებს.

**საფრანგეთიც** არ ჩამორჩენია სხვა სახელმწიფოებს ჯარის შეიარაღება-სწავლებაში. რეგულიალურ ნაწილებს გარდა, საფრანგეთში არის აგრეთვე ტერიტორიალური ნაწილები, მაგალითად ყოველ კორპუსის შტაბში არის განყოფილება ღენერლის მეთაურობით, რომელიც ამზადებს კორპუსის რაიონის ცხოვრებლებს, ვინაიდან საფრანგეთმა შეამოკლა ჯარის სამსახურის ვადა (სამი წლიდან ერთნახევარ წელზე), ამიტომ ის აწარმოებს საერთო სამხედრო სწავლებას. არის მოწაფეთა ბატალიონები, სადაც 10—17 წლამდე მოწაფეები სწავლობენ სამხედრო საქმეს, როგორიც არის წყობილება უთოფოდ და ტანთ ვარჯიშობა. 17 წლიდან კი გადიან სამხედრო სწავლებას უნცროს მეთაურთა სკოლაში.

**პოლონეთი** ღრმად არის დარწმუნებული, რომ მომავალი ომები მეცნიერული იქნება და ამისათვის საჭიროა მეტი მომზადება. პოლონეთის ჯარში არსებობს სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც უწევს ხელმძღვანელობას ჯარის ნაწილებში, სამხედრო ხელოვნების წრეებს, რომლის დანიშნულებაა განავითაროს ოფიცრობა და იქონიოს გავლენა მშვიდობიან მოქალაქეებზე.

**მდგომარეობა ჩვენში:** ვინაიდან სახელმწიფომ ვერ შესძლო მეთაურთა დიდი რიცხვის მომზადება სკოლების საშუალებით და სამხედრო ხელოვნების ტეხნიკა კი დღითიდღე იზრდება, 1921 წელში დაიბადა აზრი ჯარში სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების დაარსებისა, რომელსაც ქონდა მიზნად: მეთაურებში გაღრმავება ცოდნა სამხედრო საქმეში.

დღეს სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების 4 წლის არსებობამ გვიჩვენა, რომ ამ საზოგადოებამ დიდი ნაყოფი მოიტანა ჯარში და მისი ამოცანები თანდათან ფართოვდება.

დღეს სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებას მიზნად აქვს: 1) გააღრმავოს ჯარში სამხედრო ხელოვნების ცოდნა, 2) აწარმოოს კვლევა ძიება ბრძოლის ახალი მეთოდებისა და 3) გაასამხედროს მუშათა კლასი.

ამ ჟამად სავსებით მომწიფებულია საკითხი, რომ მომავალ ომისათვის უნდა მოემზადონ მშვიდობიანი მოქალაქენი, რადგან დასავლეთ ევროპის და ამერიკის სახელმწიფოების ომიანობისათვის მზადება სერიოზულ ხასიათს ღებულობს და მომავალ ომში მონაწილეობას მიიღებს იქაური მშვიდობიანი მოქალაქენიც. ამის შესრულება შეიძლება მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოების საშუალებით. ჩვენ გვყავს სათადარიგო ოფიცრობა, რომელნიც არ მსახურებენ, ისინი რა თქმა უნდა ჩამორჩენ სამხედრო ხელოვნების განვითარებას. ომის დროს, რომ მათ რომელიმე ნაწილი ჩააბარო—ისინი ხელმძღვანელობას ვერ შესძლებენ. თუმცა სათადარიგო მეთაურებთან სწარმოებს მეცადინეობა ტერდივიზიაში, მაგრამ მცირე დრო მათ იმდენს არ მისცემს. აქ ბუნებრივად ისმება საკითხი, რომ ყოველი სათადარიგო მეთაური უნდა ჩაება სამხედრო სამეცნიერო მუშაობაში ქარხნებში, დაწესებულებაში და სოფლებში.

ყოველ ნაწილში არსებობს სამხედრო სამეცნიერო წრე, რომელიც აწარმოებს მუშაობას ერთის მხრივ ნაწილში და მეორეს-მცხოვრებლებში.

ნ. გამრეკლიძე.

# ტერ-შეკრებაზე

## ქართულ მენშევიზმს!

დაგაშრა წყალი, მაგრილებელი
რაც რომ გაძლევდა სიცოცხლის ნიშანს,
ფართხალებ, როგორც დაჭრილი გველი
და სულს გიხუთავს მცხუნვარე ქვიშა.

— —

გაბრაზებული იკვნეტავ თითებს
გულში გიბრუნავს შენ შურის ცეცხლი,
სული ბოროტად, ცივად ხითხითებს
ჰგევხარ იუდას ხელებში ვერცხლით.

— —

სათათბიროში სჯობდა ცახცახი
სტოლიპინისთვის სიტყვების თხოვნა,
გერჩივნა მეფის მწარე მათრახი
იმას რაც შრომამ ბრძოლით იპოვნა.

— —

თუ ტყუილია, მაშ რათ ილევი?
და პურის ცომზე უფრო რბილდები,
პარიზის ქუჩებს დაძრწი ფაშისტად
და რომანოვებს უძმობილდები.

— —

და ბრაზიანი შენი კნავილი
დღეს კაპიტალმა ფულით იყიდა,
როგორც დამწვარი შავი ყვავილი
ბურჟუამ გულზე ჩამოგიკიდა.

— —

ოქტომბრის სიცხემ დაგიშრო წყალი
და კაპიტალის ბანაკში მოხვდი
ბრძოლის არც შნო გაქვს და აღარც
ძალა,
ბებერ ევროპის კალთაში მოკვდი!!!

**შ. როსნაძე.**

## რღვევის პროცესი.

ძველი სამყარო ცეცხლის გრიგალში
აფეთქების წინ წუთებს დასტირის,
იცის, რაც ელის მას მომავალში
უახლოვდება გზა გასაჭირის.

— —

ღელავს მსოფლიო გადარეული
პარიზი რისხვით თვალებს ანათებს,
ლონდონი არის ბრაზმორეული
ელის სისხლიან მწარე განაჩენს...

— —

ფრთებში აწყდებათ ბნელეთის შვილებს—
კოლონიების მძვინვარებაში;
ძალა არ შესწევთ იმათ კავშირებს
ამბოხებების დიად წყებაში.

**წ. არმ შუტუ.**

## სამანევრო სამზადისი.

**მეხუთე ლეგიონი.**

ამ ჟამად ჩვენი ლეგიონი შეუდგა ახალ საქმიანობას. სულ რამოდენიმე დღეა, რაც ლეგიონში თავი მოიყარეს წერტებზე მყოფ ათასეულებმა და 1901 წ. დაბადებულ ცვალებადელებმა.

ახლად მოსულ ათასეულებისა და ასეულებისათვის ეწყობა ახალი ლენკუთხეები და ყალიბდება პარტიული უჯრედები. ყველა ჯგუფებში ინიშნებიან ხელმძღვანელებად აქტივისტები.

ლეგიონის კლუბიც შესაფერ სამზადისს აწარმოებს.

ამ ჟამად ათასეულებში გაცხოველებული მუშაობაა სამანევროდ. გამოშვებულია კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, რომლებშიდაც უმთავრესად აღნიშნულია ტერ-შეკრების მნიშვნელობის შესახებ, როგორ უნდა შევხვედროდით ამ გამოწვევას და მრავალი სხვა.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისთვისაც იყო წინასწარი მზადება; გამოყოფილი იქნენ ყველა აქტიური ამხანაგები და დაიგზავნენ სოფლებში.

**სამხკორი ახალციხელი.**

## აჭარელი არმიელების მადლობა.

**მე-5-ე ლეგიონის სკოლა.**

მეხუთე ლეგიონის სკოლაში მოვლინებული ვართ რამოდენიმე ამხანაგი აჭარისტანიდან სამხედრო ცოდნის შესასწავლად, მაგრამ ჩვენ იმდენი მომზადებული ვერ გამოვდექით, რამდენიც საჭირო იყო ჩვენთვის სხვა ამხანაგებთან მეცადინეობის დროს.

ამის გამო ლეგიონის მესვეურებმა, სპეციალურად დაგვინიშნა ერთი მასწავლებელი ამხ. ანდღულაძე, რომელიც გვამეცადინებს სამეცადინოთ დანიშნულ დროს გარეშეც კიდევ ორ საათს და არ ზოგავს თავის ენერგიას ჩვენი მომზადებისათვის. ამხანაგი ყველაფერს გვიხსნის სრულიად ჩვენთვის გასაგებ ენაზე. მადლობას უცხადებთ მას და უსურვებთ ასევე ემუშაოს მომავალშიაც მუშათა ხელისუფლების საკეთილდღეოთ.

**აჭარელი.**

## 2-რე არტლეგიონი.

ჩვენს ნაწილში დღითი დღე მოდიოდენ ცვალებადელები. 4 სექტემბერს მოსული იყო მთელი შემადგენლობა. ამხანაგები გადაყვანილი იქნენ ბანაკში. ძველი წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მათი მისვლის გამო. ბანაკმა საზეიმო ხასიათი მიიღო. იმ საღამოსვე ეკრანკამარაზე ახლად მოსულებს ანახვეს კინო სურათები, რომელსაც დიდი ინტერესით შესცქეროდენ.

მოსულების კმაყოფილი სახე და ნაწილის ცხოვრებით დაინტერესება მჭერმეტყველურად მოწმობს იმას, რომ ტერ-სისტემის გატარებას ჩვენი მოსახლეობა შეგნებულად ხვდება.

მომავალი შეკრება კიდევ უფრო დაამტკიცებს ამას.

**ვლ. ნავრუზაშვილი.**

## ლიტერატურულ ფრონტზე.

**მე-2 არტ-ლეგიონის ლიტწრე.**

7 სექტემბერს მე-2 არტლეგიონში სალიტერატურო წრის თაოსნობით მოხდა დანიელ ჭონქაძის მოთხრობის გმირის „ვარდუას“ გასამართლება. საბრალდებულო ოქმი წაკითხული იქნა სასამართლოს თავმჯდომარეს მიერ. წამოყენებული იყო შემდეგი ბრალდებები: 1. ვარდუა, როგორც ცრუ მორწმუნოების გამავრცელებელი 2. როგორც შურის მაძიებელი 3. როგორც მკვლელი სამი ადამიანისა და 4. უკიდურესი ეგოისტი. ოქმის წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდენ ოფიციალური დამცველებისა და ბრალმდებლების გარდა, დამსწრე წითელ არმიელებიც.

კამათის გათავების შემდეგ საბოლოვო სიტყვა მიეცა ბრალდებულ ვარდუას, რომელმაც უარი განაცხადა ყველა ბრალდებებზე. მსაჯულების მსჯელობამ გასტანა ნახევარი საათი და ბოლოს ის ცნობილი იქნა ყველა წაყენებულ ბრალდებებში, რის გამოც გამოეცხადა მას საზოგადოებრივი განკიცხვა. განაჩენით წ. არმიელები კმაყოფილი დარჩენ.

კარგი იქნება, რომ ჩვენი წრე ხშირად ითავებდეს ასეთი გასამართლებების მოწყობას.

**ა. დალაქიშვილი.**

# შვებულების წინ

## რას ამბობენ შვებულებაში მიმავალი არმიელები.

**სამხედრო სკოლის სამწყობრო გუნდი.**

1924 წ. მაისში გამოწვეული არმიელები მალე წავალთ შვებულებაში და ვსდებთ მტკიცე ფიცს, რომ არ უღალატოთ საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ როგორც ერთი ყველა, მსურველი ვართ შევასრულოთ ყველა ჩვენი უფროსების დავალებანი, სოფლად მუშაობისა და სოფლის გლეხების მეურნეობის გაჯანსაღების საქმეში.

ჩვენ მუდამ ყოველთვის ვფიქრობდით, რომ აქედან წასვლის შემდეგ ჩავებმებოდით გლეხებთან მუშაობაში, რომ შევიტანოთ მათში შეგნება, შევაყვაროთ და გავაცნოთ წითელი არმია, რას აკეთებს ის, და რა უნდა გააკეთოს მან სოფლად დაბრუნებული არმიელების სახით.

სოფლად ბევრი მოიპოვება ისეთი, რომელმაც არ იცის რა არის სწავლა, არ იცის რა შეუძლია სწავლას.

მართალია ჩვენც ასეთები ვიყავით ერთ დროს, მაგრამ დღეს კი ცოტად თუ ბევრად გავეცანით ქვეყნის მდგომარეობას და ამიტომაც დაინტერესებული ვართ რათა ჩვენც დავეხმაროდ მათი ხვედრის შემსუბუქებაში.

ვფიცავთ ამასთან ერთად რომ ვიქნებით წით. არმიის დაუვიწყარი, მუდმივი მეგობარი. ვალდებულად ვსთვლით თავს დავეხმაროთ კოოპერაციას, გავამაგროთ და განვამტკიცოთ ის; დავაარსოთ სოფლად ქოხ-სამკითხველოები და ხელი შევუწყოთ სოფლის მეურნეობის აღორძინებას.

გაუმარჯოს გრძელ ვადიან შვებულებაში წამსვლელ წით. არმიელებს და მათ საქმიანობას სოფლად.

**ქუთაისელი წ. მოლაშქრე.**

## ჩვენი მოვალეობა სოფლად.

**1-ლ ლეგიონი.**

ამხანაგებო, შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებო გესალმებით მეც წითელ არმიელი.

ამხანაგებო, წითელი ჯარი არის ისეთი შეიარაღებული ძალა) როგორც სამხედრო ცოდნით ისე, პოლიტიკური მომზადებით, რომ მასზეა დამყარებული მთელი მუშების და გლეხების კეთილდღეობა.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, დიდი ლენინის დაარსებული წითელი არმია თანდათანობით ძლიერდება. ის ეკლესიები, რომლებიც ნიკოლოზის მთავრობის დროს იყო ნაწილებში, დღეს სკოლად და კლუბებად არის გადაკეთებული. ნაწილებში დღეს გვყავს მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან წერა-კითხვის უცოდინარებს— წერა-კითხვას.

უფროსების მოპყრობა წითელ-არმიელისადმი ამხანაგურია.

ჩვენ უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებს სოფლად ბევრი რამეები გვაქვს გასაკეთებელი, რომლის მოგვარებას შევსძლებთ როგორც მომზადებულნი ყოველ მხრივად.

ჩვენ უნდა შევიტანოთ სოფლებში, ახალი შეგნება, უნდა აუხსნათ ჩვენს მეზობლებს და ამხანაგებს თუ რა მნიშვნელობა აქვს წითელ-არმიას, რა არის ტერ-შეკრება და სხვა.

ბევრი მოვალეობა გვაწევს თავზე და ეს უნდა პირნათლად შევასრულოთ.

**სამხკორი იონა კორძახია.**

## 1-ლ საარტილერიო ლეგიონი აღლუმებზედ.

ა. წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან ლეგიონი გავიდა აღლუმებზედ. გამგზავრების წინ პოლიტშემადგენლობამ წითელ არმიელებთან ჩაატარა საუბარი თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით და როგორ მოეპყრობოდით გლეხის ნამუშევარს.

საალუმო მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში წით ელ არმიელებს მართლაც არ ავიწყდებოდათ ეს და იგება.

გვიხდებოდა სოფლათ დაბინავება, სადაც მრავალი ჯიშის ხე-ხილი თავხედათ დაჰყურებდა წ. არმიელებს, მაგრამ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მათ გლეხის ბაღში ნაყოფი მოეგლიჯათ.

**საგანმანათლებლო საქმე.**

დავბინავდებოდით სოფლათ თუ არა, იმ წუთშივე მთელს სოფელს მოეფინებოდა პოლიტ. შემადგენლობა და რამოდენიმე წ. არმიელები საუბრების ჩასატარებლად. საუბრის ჩატარების დროს სურვილი გამოსთქვეს სოფელ „ბერძენაულის“ გლეხობამ დაგვეარსებინა სამკითხველო, რაიც სიამოვნებით მოვიყვანეთ სისრულეში. სამკითხველოს გადასცა ლეგიონმა, რამოდენიმე ცალი წიგნაკები გაზეთები და სხვა და სხვა სურათები. ამ გარემოებამ გლეხობა ძლიერ გაახარა და დიდი მადლობაც გადაგვიხადეს.

ლეგიონს უკან მოყობა სააგიტაციო ოთხთვალა, რომლიდანაც გადაცემული იქნა გლეხობაზე მრავალი გაზეთები, ლოზუნგები და სამეურნეო შინაარსის წიგნები.

**საექიმო დახმარება.**

როგორც მეთაურპოლიტ და წ. არმიელების შემადგენლობა ეშურებოდა გლეხობასთან საუბრის ჩასატარებლად ექიმებიც თან მიდიოდნენ და მრავალი ავათმყოფი გლეხი იქმნა გაშინჯული და წამალსაც უფასოთ აძლევდენ. (თუ კი იშოვნებოდა ლეგიონის ექიმებთან).

საქონლის ექიმებმაც აღმოუჩინეს დახმარება გლეხების ავათმყოფ საქონლებს და აძლევდნენ რჩევა დარიგებას თუ როგორ უნდა მოევლოთ ავადმყოფ საქონლისათვის.

ჩვენი ასეთი მოქმედებით გლეხობა დარწმუნდა, რომ წითელი ჯარი მართლა ყოფილა მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი; სწორედ ამიტომ იყო რომ მოგვცეს პატიოსანა სიტყვა, რომ ყოველ გამოძახილზე სიხარულით გავგზავნით ჩვენს შვილებს წითელ არმიაშიო.

**სამხკორი ს. ძიროვნელი.**

## მე-2 ქართ. მსროლელ დივიზ. ჯგუფის წითელ არმიელების ცხოვრებიდან.

მე-2 დივ.-შტაბის ჯგუფში იმყოფებიან 20 წითელარმიელები. მათ შორის თითქმის ყველა წერა-კითხვის მცოდნეა. ჯგუფში დაარსებულია ლენინის კუთხე, რომელიც მორთულია ბელადების სურათებით. კუთხეში გვაქვს ბევრნაირი წიგნები და ჟურნალები. ყოველ დღე ვღებულობთ სამხედრო და სამოქალაქო ჟურნალ გაზეთებს.

პოლიტ. საათი სისტემატიურათ სწარმოებს. ჩვენი პოლიტხელი ძლიერ გულმოდგინეთ გვამეცადინებს. წითელ-არმიელები დიდი ყურადღებით ისმენენ ყველაფერს და დიდ აქტიობას იჩენენ შეკითხვების მიცემით.

ჯგუფში დანიშნულია აგრეთვე ამხ. დიანოვი, რომელიც ყოველ დღიურ გაზეთებიდან უხსნის არმიელებს ცნობებს და ლენინის ბიოგრაფიის მნიშვნელობას. ამასთანავე ამხ. ასწავლის ანგარიშს.

მეცადინეობა მიმდინარეობს დილა-საღამოს. ჯგუფის წით. არმ. მეტი წილნი არიან ა. ლ. კ. კ. წევრები და პარტიის კანდიდატები; ესწრებიან ყველა უჯრედის სხდომებს და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას, ასრულებენ უჯრედის ყველა დავალებებს.

ჯგუფს ყავს თავისი სამხკორი და ახკორი. სხვა წ. არმიელებიც ღებულობენ მონაწილეობას ამა თუ იმ გაზეთებში. ჯგუფის არმიელები ორჯერ ვიყავით ექსკურსიაზე. პირველათ ვინახულეთ „ზაგესი“ და მეორეთ კი ქალაქის მუზეუმი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე.

ჩვენი პირადი უფროსები ძლიერკარგად გვეპყრობიან და აკმაყოფილებენ წ.-არმ. მოთხოვნილებებს შეძლებისდაგვარათ

**სამხკორი გ. არაქელოვი.**

## ახალი მოვალეობის შესასრულებლად

7 სექტემბერს სამხედრო სკოლამ ადრე გაიღვიძა. სკოლის ასეულების მორიგეები გულმოდგინეთ აღვიძებდენ 6-სე ლეგიონში მავლინებულ კურსანტებს. ნახევარი საათის განმავლობაში უკვე მზად ვიყავით და მხიარული ყიჟინით გავემართეთ დანიშნულ ადგილისაკენ.

თეორეტიული მეცადინეობის შემდეგ ნაწილებში მივლინება ყველას გვახარებდა. ვიცოდით, რომ აქ წითელ-არმიელებთან კარგად გამოვსცდით ჩვენს თავს.

შევედით თუ არა ლეგიონის ეზოში, სიხარულით შემოგვეგებენ წითელ-არმიელები და ერთმანეთის მისალმების შემდეგ გაიმართა მათთან საუბარი.

მოულოდნელად გაისმა მხლებელ მეთაურის განკარგულება მოსაწყობათ, რომელიც თვალის დახამხამებამდე იქნა შესრულებული.

აქ წაგვიკითხეს სია თუ ვინ რომელ ასეულებში იყო განაწილებული, რამაც გამოიწვია ზოგიერთ ამხანაგების ჩამოცილება ლეგიონის საკავშირო და ტყვიამფრქვევ ასეულებში დასარჩენად. დანარჩენები კი ისევ გაუდექით გზას ლეგიონის ბანაკისაკენ.

აქ გულთბილად მოგვესალმა ლეგიონის თავი, დაწვრილებით გაგვაცნო ჩვენი მოვალეობა და გვისურვა სამაგალითოდ გავმხდარიყავით ახალ წითელ არმიელებთან დამოკიდებულობის საქმეში.

თვითეული ჩვენგანი სრულიად გრძნობს ამ პასუხისმგებლობას და მთელი ენერგიით ვსცდილობთ პირნათლად შევასრულოდ ახალი დავალებანი.

კურსანტი **რ. ქორი.**

## უცხოეთის არმიებში.

**გერმანიის რეიხსვეირის მანევრები.**

გერმანიის ჯარს რეიხსვეირი ეწოდება, რომლის რაოდენობა განსაზღვრულია ვერსალის ზავით. ამ თვეში ჩეხო-სლოვაკიის საზღვრებთან მოხდება მე-4 რეიხსვეირის დივიზიის მანევრები, რომლის შტაბიც არის დრეზდენში. ეს დივიზია გაძლიერებული იქნება 3 პოლკით 1-ლი და მე-2 ცხენოსან დივიზიების და პრუსიის არტილერიის ნაწილებით. მანევრებს დაესწრება გენ. ფონ-სექტი.

**ცეპელინის 25 წლის თავი.**

ფრიდრიხსჰაფენში (გერმანია) ჩატარდა ცეპელინის პირველი გაფრენიდან 25 წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო დღესასწაული. სიტყვით გამოვიდა ინჟ. ეკკენერი, რომელმაც ააშენა ცეპელინი და თავის სიტყვაში დაასურათა ცეპელინების განვითარების სურათი. ორატორმა პროტესტი განაცხადა მოკავშირეების მიერ ცეპელინების აგების აკრძალვის წინააღმდეგ, რომელიც, მისი სიტყვით, ემსახურება მხოლოდ მშვიდობიან მეცნიერულ მიზნებს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი ჩათვლა სამხედრო იარაღთა რიცხვში, თანამედროვე ჰაეროპლანებთან შედარებით. ეკკენერი აღნიშნავს, რომ ცეპელინი შეუდარებელი საშუალებაა შორი მანძილებზე გადასასვლელად. ეს დაამტკიცა ამერიკაში გადაფრენამ.

**პოლონეთი.**

**ქვემეხის აფეთქება ტორნის პოლიგონზე.**

23 ივლისს ტორნის პოლიგონზე საარტილერიო სროლის დროს მოხდა 150 მილმ. ფრანგული გაუბიცის აფეთქება. აფეთქების ძალამ ქვემეხის წინა ნაწილი გადაისროლა წინ 20 მეტრის მანძილზე, უკანა ნაწილი—15 მეტრზე, შუა ნაწილი კი აქცია ნამცეცებად და გაფანტა 300 მეტრის მანძილზე. აფეთქების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა 1 მეთაური და 3 კი მჩატეთ. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ გახეთქის მიზეზი იყო ყუმბარის აფეთქება ქვემეხის ლულაში.

## სასოფლო მეურნეობა

**ფრინველების განავალი კარგი სასუქია ნიადაგისთვის.**

ფრინველის განავალს ჩვენს მეურნეობაში უმეტეს შემთხვევაში ნკლებ ყურადღებას აქცევენ, მაშინ როდესაც იგი ერთ-ერთი საუკეთესო სასუქია ნიადაგისათვის. განსაკუთრებით კარგია ფრინველის განავალი ბაღისა და ბოსტნის ნიადაგისათვის.

ფრინველის განავალი სასუქად შემდეგნაირად უნდა იქნას გამოყენებული. განავალი უნდა შეიკრიბოს და შემდეგ დაიფხვნას. დაფხვნილი განავალი უნდა მოეყაროს მიწაზე. ერთი დესეტინა მიწისათვის საკმარისია 100 ფუთი ფრინველის განავალი, მაშინ როდესაც იმავე მიწისთვის საჭიროა 2400 ფუთი საქონლის ნაკელი. ფრინველის განავალი შეიძლება წყალშიც გაიხსნეს და ასე გამზადებული ხსნილით მოირწყას ნიადაგი.

თითო ქათამი წლის განმავლობაში იძლევა საშვალოდ 14 გირვანქა განავალს, იხვი—20 გირვანქამდე, ინდაური—27 გირვანქამდე, ბატი—28 გირვანქამდე. ეს მაშინ, თუ ფრინველი ერთ ადგილას გვყავს დამწყვდეული და მათ განავალს თავთავის დროზე ვაგროვებთ. სოფლის მეურნეობის პირობებში კი საჭიროა საქათმეში ძირს თხელ ფენად მიწა მოვაყაროთ. დროგამოშვებით ეს მიწა უნდა ავიღოთ და ცალკე დავაგროვოთ, ან ნაკელში შევურიოთ. კიდევ უკეთესი, თუ მიწას ცოტა ნაცარს და კირს მივუმატებთ. ამით ნაკელის რაოდენობაც გადიდდება და ღირსებაც გაუმჯობესდება.

ასევე უნდა მოვიქცეთ, თუ ფრინველი გარეთ ხეებზე არის ნაჩვევი ბუდობას. ამ შემთხვევაში ხის ძირას დროგამოშვებით შეგროვებულ უნდა იქნეს ფრინველის განავალი და სანაგვეზე გატანილი.

**მეგობარი.**

## მეცნიერება და ტეხნიკა

**შესაძლებელია თუ არა პლანეტათა შორის მიმოსვლა.**

პლანეტათა შორისო მიმოსვლის შესახებ ბევრს უფიქრია, ბევრი ცდილა ამ მიმოსვლის საშუალებათა გამოძებნის შესახებ, მაგრამ ეს კეთილშობილი აზრები ხშირად ვერ პოულობდენ პრაქტიკულ განხორციელებას.

ამ უკანასკნელ ხანებში ეს ოცნება თითქოს განხორციელდა, ყოველ შემთხვევაში უფრო მიუახლოვდენ მისი განხორციელების საქმეს. ამ შემთხვევაში საინტერესოა ამერიკელ პროფესორების გამოგონებული რაკეტა, რომლებზედაც დიდ იმედებსაც ამყარებდენ.

საინტერესოა ის თუ ეს რაკეტა პლანეტათა შორისო მოძრაობის დროს საიდან იღებს მოძრაობისათვის საჭირო ძალასა და ენერგიას.

როგორც ამბობენ რაკეტის კუდში მოწყობილია ერთგვარი ამაფეთქებელი ნივთიერებანი, რომლებიც მოძრაობის დროს თანდათანობით ფეთქდებიან და ამნაირად მიჰქრის რაკეტა წინ.

აფეთქებით მიცემული ძალა ერთნაირად მოქმედებს როგორც ატმოსფერაში, ისე უჰაერო სივრცეში.

როდესაც ეს რაკეტა ამა თუ იმ მექანიზმის საშუალებით მიაღწევს ატმოსფერის ზედა ფენებს, სადაც მას მოძრაობის დროს წინააღმდეგობას ველარ გაუწევს ჰაერი—ის ისევ წინანდებურად მიიზიდება დედა-მიწისაკენ. თუ ამ დროს რაკეტაზე საჭირო ძალის მიმწოდებელი მექანიზმი შესწყვეტს მოქმედებას, ის ისევე დაეცემა დედამიწაზე, როგორც ზევით ასროლილი ქვა.

ამისათვის რომ მან თავისუფლად იმოძრაოს პლანეტათა შორისო სივრცეში, საჭიროა მას ჰქონდეს მიწიდან მიღებული სიჩქარე.

როგორი უნდა იქნეს ის სიჩქარე, რომლითაც რაკეტა მიქროლავს პლანეტათა შორისო უჰაერო სივრცეში? ამაზე პასუხის მიცემა იმაზე იქნება დამოკიდებული, რაკეტამ თავისი მოძრაობის მარაგი ერთბაშად უნდა მიიღოს, თუ თანდათანობით მრავალი ხნის განმავლობაში.

პირველ შემთხვევაში, თუ რაკეტამ მიწიდან გატყორცნისთანავე მიიღო 11 კილომეტრის სიჩქარე წამში (სეკუნდა) მას თამამად შეუძლია ამავე სიჩქარით დასძლიოს მიწის წინააღმდეგობა და გაფრინდეს დაუსრულებელ სივრცეში.

თუ კი რაკეტა იმოძრავებს მასში მოთავსებულ განუწყვეტლად ამაფეთქებელ აპარატის მეოხებით, მაშინ მას არ დასჭირდება წამში 11 კილომეტრის სიჩქარე. დედამიწიდან 19 ათას კილომეტრის მანძილზე, რაკეტისათვის სრულიად საკმარისია ხუთნახევარი კილომეტრი სიჩქარე წამში, რომ კიდევაც შეწყდეს რაკეტაში ამაფეთქებელი აპარატების მოქმედება. 380 ათას კილომეტრის მანძილზე ე. ი. იმ მანძილზე რომლითაც დაცილებულია მთვარე დედამიწიდან საკმარისია რაკეტისათვის 1,4 მეათედი კილომეტრი წამში. ის მაინც განაგრძნობს წინ სვლას და დედამიწის მიმზიდველობითი ძალა ვერ იმოქმედებს მასზე.

(შემდეგი იქნება)

## ამბები სოფლებიდან

**გზის შეკეთება.**

სოფ. კაკხის (შორაპ. მაზრა) გლეხებმა შეუდგნენ გზის შეკეთებას კაცხიდან ჭრათურამდე.

**კოოპერატივის დაარსება.**

შორაპნის სამაზრო გლეხკომის თაოსნობით სოფ. ქვაციხეში დაარსდა კოოპერატივი, რომელშიაც გლეხკომმა ჩასწერა წევრათ ასი გლეხი.

**გლეხების შუამდგომლობა.**

სოფ. ალის გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს გორის სამაზრო აღმასკომის წინაშე აღმოუჩინონ გლეხებს დახმარება ტეხნიკური ხელმძღვანელობის სახით მდ. ბურწულაზე ხიდის აგების საქმეში.

**სანიმუშო გლეხკომები.**

თელავის მაზრაში სანიმუშო გლეხკომებათ ითვლებიან, ყვარელის, შილდას ქისტაურის, შაშიანის, ზემო-ხოდაშენის და კონდოლის გლეხკომები.

**საკრედიტო ამხანაგობანი ჯავახეთში.**

ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა გაუწიოს დახმარება საკრედიტო ამხანაგობებს დახმარების მიცემის სახით.

**მიწების გადაცემა.**

სოფ. დიდსა და პატარა გარე-ჯვარში (გორ. მაზრა) მიწათ მოწყობის ჩატარების შემდეგ ზედმეტი მიწები გადაეცა მეზობელ სოფელ ქორნისს.

## ახალი ამბები.

**წითელი არმიისა და ფლოტის ბალში.** შესასვლელი მუდმივი ბილეთების ხელახლა აღრიცხვა დანიშნულია 11-15 სექტემბრამდე.

**წარმოებათა დაზღვევა.** ამჟამად საქართველოში დაზღვეულია 6.086 წარმოება-დაწესებულება და მეურნეობა.

**უმუშევარი ქალები.** სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით მთელ საქართველოში ამჟამად ითვლება 975 უმუშევარი ქალი.

**წყალში ჩავარდნილთა გადარჩენა.** უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში მტკვარში დახრჩობისაგან გადარჩენილთა რიცხვი უდრის 50 კაცს.

**სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველათ** მომავალ წელში საქ. სას. სამ. ბანკი გადასდებს 475.000 მანეთს.

**ბიდონის წარმოება.** აგვისტოს განმავლობაში ბათომის საბიდონე ქარხანამ დაამზადა 88.661 ცალი ბიდონი.

**აბრეშუმის თესლი.** საზოგადოება „აბრეშუმი“ წელს დაამზადებს 80 ათას კოლოფს აბრეშუმის თესლს.

**გლეხკომებმა არ უნდა ივაჭრონ.** საქ. გლეხკომების ცენტ. კომიტეტმა გაუგზავნა ცირკულიარი ყველა სამაზრო გლეხკომებს სავაჭრო ოპერაციების შეწყვეტის შესახებ.

**გამოცდების ჩაბარება.** გან. კომისარიატმა აკრძალა 9 წლედებში დასამთავრებელ გამოცდების სახელდახელოთ ჩაბარება.

**ქვრივ-ობლებს** აგვისტოს განმავლობაში დამზღვევ კასიდან დახმარების სახით მიეცათ 3.172 მანეთი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მე-2 არტლეგ. მე-2 საველე ბატარეის უფროსის თანაშემწემ დამავალა თავის ბინის გამოსუფთავება, მე შევასრულე. ქონდა თუ არა მას ამის უფლება?

წ. არმ. **გ. მ.**

**პასუხი.** არ ქონდა.

**კითხვა.** მე გამიწვიეს წითელ ჯარში 1924 წ. მაისში. გაწვევამდე ვმუშაობდი ერთ ქარხანაში. გთხოვთ მიპასუხოდ მენახება თუ არა ადგილი?

წ. არმ. **თომაძე.**

**პასუხი.** ადგილი არ გენახებათ.

**კითხვა.** მე ვმსახურებ სამკითხველოში. შემიძლია თუ არა ვიარო საღამოობით საბუღალტერო კურსებზე?

წ. არმ. **ვ. ვაშაძიძე.**

**პასუხი.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა №1520 შეგიძლიათ უფროსის ნებართვით თუ ეს საქმეს არ ავნებს.

**კითხვა.** ვმსახურებ 1 ლ ლეგიონში. მქონდა შეტანილი თხოვნა სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდებზე დაშვების შესახებ. მომთხოვეს საჰონორარო გადასახადი. ვთავისუფლდები თუ არა ამ გადასახადისაგან, როგორც წ. არმიელი?

**ს. —ლი.**

**პასუხი.** თუ თქვენ შედიხართ იმათ რიცხვში, რომლებიც გაგზავნილი არიან ლეგიონის მიერ განაკვეთით, მაშინ არ იხდით, თუ კი შედიხართ კერძო წესით დამოკიდებულია მიმღებ კომისიაზე.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელებს ეძლევათ თუ არა დახმარება ადგილის შოვნაში?

წ. არმ. **ნაჯახოველი.**

**პასუხი.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა №1520 პირველ რიგში მათ უნდა მიეცეთ ადგილები, თუ ასეთი იქნება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

2-რე საარტილერიო ლეგიონის საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიაში შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) კოლუაშვილი ივანეს და 2) ყრუაშვილი დიომიდეს.

კომუჯრედი სთხოვს ყველა ამხანაგებს თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათ მიმართ ერთი კვირის განმავლობაში აცნობოს კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი **ლმეავა.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.